დანართი №1

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი

წევრები:

ხათუნა ჩომახიძე

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: ხათუნა ჩომახიძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება კოლეჯი

საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 18 ივნისის N690864 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 11 ივლისს ქალაქ საჩხერის ლოკაციაზე (მის: ქ. საჩხერე, ივანე გომართელის N50ა/52).

ვიზიტამდე ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი 1).

ვიზიტის დღეს ავტორიზაციის სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები. ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასების მიზნით ჩატარდა ინტერვიუ დაწესებულების ხელმძღვანელთან, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელთან, ხარისხის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.

ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გასცა უკუკავშირი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი. წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	50	51	0	1

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: ხათუნა ჩომახიძე

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით (2025 წლის 22 ივლისის წერილი N00013468) დგინდება, რომ დაწესებულება სრულად ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: ხათუნა ჩომახიძე

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	V
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. საჩხერე ივანე გომართელის N50ა/52
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე დამატებით მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	70 - კოოპერაციული
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	51 - კოოპერაციული
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	120 - კოოპერაციული
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: ხათუნა ჩომახიძე

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: ხათუნა ჩომახიძე

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: 2023 წელს ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის N50ა/52-ში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ ააშენა საგანმანათლებლო ჰაბი. შენობა აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ტექნიკითა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსით. დაწესებულების მიერ ჩატარებული მოკვლევის თანახმად, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს ქვეყანაში კადრების დეფიციტი, საკანონმდებლო მოთხოვნები, რომელიც ყველა დაწესებულებას ავალდებულებს ჰყავდეთ აღნიშნული სპეციალისტები, და შესაბამისად, გაზრდილია მოთხოვნა პროგრამაზე - დარეგისტრირდა 50-ზე არსებითად მეტი მსურველები (172), რაც აღემატება მოქმედ კვოტას.
კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამას ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ 2019 წლიდან ახორციელებს ქალაქ თბილისში, ხოლო იმერეთის რეგიონში - 2024 წლიდან. პროფესიაზე მაღალი მოთხოვნა ხელს შეუწყობს რეგიონში მოსახლეობისათვის განათლების მიღებისა და გაზრდის დასაქმების შესაძლებლობას. დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად აქვს საგანგებოდ მოწყობილი და სრულად აღჭურვილი სასწავლო სივრცეები, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე დარგობრივ სტანდარტებს. გარდა ამისა, კოლეჯი სტუდენტებს სთავაზობს საკუთარ საერთო საცხოვრებელს, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა რეგიონიდან/სოფლებიდან პროგრამაზე მსურველთა რაოდენობის გაზრდას.
ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა გაზრდილი კვოტის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. კერძოდ, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია და შეამოწმეს პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აუდიტორიები. კოლეჯს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი ქ. საჩხერე, ივანე გომართელის N50ა/52 -ში სასწავლო გარემო A/C (აუდიტორია) 51 პროფესიული სტუდენტისთვის აღჭურვილი. აუდიტორიაში განთავსებულია: პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი , კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისთვის პროფესიული სტუდენტის მაგიდა და სკამი 30 ცალი, კომპიუტერულ კლასში კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტისათვის - 3 ცალი, დემონსტრირების ციფრული საშუალებები 1 ც, დაფა 1 ც, პრინტერები (კომბაინები) და ფლეშ მეხსიერებები.

კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც. პროგრამის სპეციფიკით გათვალიწინებული სპეციალური მატერიალური რესურსები შემდეგ მოდულებზე დაემატათ: სასწავლო გარემო A (დაემატა კონტიგენტის გაზრდის მიზნით) და 2) სასწავლო გარემო B, რომლებიც აღჭურვილია 30 სტუდენტზე გათვლილი შესაბამისი ინვენტარით.

პრაქტიკის განხორციელებისთვის ორგანიზაციებს გაფორმებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები.

- შპს "ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია"- გაფორმებულია პრაქტიკის განხორციელების მემორანდუმი 2024 წლის 25 მარტს, რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5 წლით. პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის განაწილება თავის ლოკაციაზე.
- შპს „პროფიუნიტი"- გაფორმებულია პრაქტიკის შესახებ თანამშრომლობის მემორანდუმი 2024 წლის 13 მაისს 5წლის ვადით. პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის მიღება განაწილება თავის ლოკაციაზე.
- შპს „ჯორჯიან მანგანეზი" - ცენტრთან გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი 2024 წლის 18 აპრილს 5 წლის ვადით. პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება განაწილება თავის ლოკაციაზე.

კონტიგენტის გაზრდის მიზნით მემორანდუმები გაფორმებული აქვთ შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქ.საჩხერის N 1 საჯარო სკოლა - 20 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლა -20 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლა -20 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთის საჯარო სკოლა -20 პროფესიული სტუდენტი;

აღნიშნული დაწესებულებების მემორანდუმების პირობები მოიცავს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგნიზაციის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსის გამოყენებით და ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში, პარტნიორი ორგანიზაციები აკადემიის კურსდამთავრებულებს დასაქმებაში პრიორიტეტს მიანიჭებს.

მემორანდუმების მიხედვით პარტნიორი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას პრაქტიკაზე მივლინებული პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული კომპონენტების ათვისების მიზნით გამოყოს სათანადო კვალიფიკაციის/კომპეტენციის პრაქტიკის ინსტრუქტორები, რათა უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა ტერიტორიაზე მათი ყოფნის პერიოდში.

აკადემიაში პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, გასაუბრება განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელმაც აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტის დროს პროფესიულ სტუდენტებს პირველივე დღესვე ჩაუტარდებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი, კომპანიების შრომის უსაფრთხოების წარმომადგენელი გააცნობს შიდა რეგულაციებს, კომპანიის შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს და სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, უსაფრთხო შრომის გარემოს შექმნის მიზნით. აღნიშნული პირობების შესრულება დადასტურდა სტუდენტებთან და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და ექსპერტთა მიერ ერთ-ერთი პრაქტიკის ობიექტის (სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლა) ვიზუალური დათვალიერებით.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში

დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა დამატებით 70, ჯამში 120 პროფესიული სტუდენტის (ორ ნაკადად)

მიღებასა და სწავლების შესაძლებლობას.

2.2.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: ხათუნა ჩომახიძე

2.2.1.2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები", განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი პირი და მეტი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული წინარე ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 34 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან განახორციელებს ზოგად მოდულებს 12, ხოლო 22 - პროფესიულ მოდულებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს განმახორციელებლელთა რეალური დატვირთვა, სასწავლო ცხილები, რის საფუძველზეც გაზრდილი კვოტის ფარგლებში, დამატებით მოთხოვნილი 2 ჯგუფისათვის, საკმარისია მასწავლებელთა რაოდენობა. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, რომელთაც დაადასტურეს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების ცოდნა, გასაუბრებითა და პირადი საქეების შესწავლით დადასტურდა აღნიშნული პირების ცოდნა, უნარები და პროგრამის განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი კომპეტენციები. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების ცოდნა და შესრულება.

2.2.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ: ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, და დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ მოდულების შექმნაში, გავლილი აქვთ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია.

2.2.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის ადაპტირება–შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში, დარგში სიახლეების გაცნობა–დანერგვაში და ხარისხის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების უფროსების მიერ დაგეგმილ სხვა ღონისძიებებში.

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: ხათუნა ჩომახიძე

ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია და მოტივაცია სათანადო დონეზე უხელმძღვანელოს პროფესიული პროგრამის განხორციელებას. მას სრულად აქვს გათავისებული საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები. იგი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო გეგმის შემუშავებაში და მზად არის მონაწილეობა მიიღოს მის განვითარებაში.

2.2.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ: აკადემია უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს სწავლის დაწყების დროს აცნობს თუ როგორ შეუძლიათ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები და საბეჭდი და ასლ გადამღები ტექნიკა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ საკუთარი დაფინანსებით დაბეჭდილია 2 სასწავლო სახელმძღვანელო შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის და აქტიურად გამოიყენება დარგობრივი მოდულების განხორციელებისას: 1. „შრომის უსაფრთხოებაში არსებული ტერმინთა განმარტება და სამართლებრივი მიმოხილვა“ და 2. „შრომისა და საექსპლუატაციო გარემოს უსაფრთხოება: საფრთხეები, გამომწვევი ფაქტორები, რისკების აღმოფხვრა და შემცირების გზები“.

რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრებითაც.

2.2.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ: დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით (ცვლილება რექტორის ბრძანება №2/82 (10.06.2025) დამტკიცებული „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ გაწერილია მუხლი 32. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და მუხლი. 51. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი- სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. აკადემიას აქვს მზაობა მათ მისაღებად, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური

სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; მათთვის სასწავლო პროცესი წარიმართება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. რეგულაციის თანახმად: იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხება სსსმ პირი, აკადემია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ის ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

აკადემიის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- სპეციალისტის ჩართულობას, რათა მოხდეს თითოეული სტუდენტის საჭიროების დეტალური შეფასება და მათი სასწავლო პროცესში ეფექტური ინტეგრაცია;
- სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს, ადაპტირებულ შრიფტსა და ფორმატს, ვიზუალური აღქმის გამარტივებულ საშუალებებს;
- აკადემიის ინფრასტრუქტურისა და სივრცის მორგებას, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება და სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერის გაწევას, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მენტორული დახმარების ორგანიზებას;
- ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია გაწერილია კოლეჯის რექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში";
- ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც მოიცავს პროცედურების გამარტივებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;
- სხვა დამატებით ღონისძიებებს, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების ადაპტაციას, რათა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომ ფორმატში. აკადემიის ბიბლიოთეკა ვალდებულია უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული ვერსიების შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მიეწოდება მისთვის მოსახერხებელ ფორმატში; ბეჭდური რესურსების ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ადაპტირება, მათ შორის შრიფტის ზომის და სტილის ოპტიმიზაცია; საგანმანათლებლო რესურსების შინაარსობრივი ადაპტირება, რაც მოიცავს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის ხელშეწყობასა და სხვა შესაბამის ცვლილებებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით. გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული პირები შესაძლოა დაიშვან მოდულებზე მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, იმ პირობით, რომ მათი სასწავლო წარმატების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული იქნება შესაბამისი დამატებითი ღონისძიებები.

ამ მიდგომის გათვალისწინებით, აკადემია უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად განავითაროს თავისი უნარები და მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება.

გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" 32-ე მუხლში გაწერილია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და 51-ე მუხლში კი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი, კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ის ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან.

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: ხათუნა ჩომახიძე

2.2.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ: აკადემიის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით. ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება აკადემიის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს.
ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას (რენტაბელობის ზღვარი 18 სტუდენტი). აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება.
ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება;
- პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის და მასალა-ნედლეულის ხარჯი;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების ხარჯი;
- პერსონალის განვითარების/წახალისების ხარჯი;
- სსსმ და შშმ პირებზე გაწეული ხარჯი;
- დიპლომის ხარჯი და სხვ.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს აკადემიის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას.

2.2.1.7 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" (დამტკიცებულია შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2024 წლის 14 მაისის N 2/55 ბრძანებით);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის მიერ 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით, ბოლო ცვლილება რექტორის ბრძანება №2/82 (10.06.2025);
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; (დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 28.07.2020 წლის N2/60 ბრძანებით ცვლილებები შესულია 2022 წლის 18 იანვრის რექტორის N2/5 ბრძანებით);
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;

- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის წინარე ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის სქემა;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ადმინისტრაცისთან, სტუდენტებთან, განმახორციელებელ პირებთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

28.07.2025
თარიღი

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: ხათუნა ჩომახიძე